# პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების დამოკიდებულებების კვლევა ლგბტ(ქ)ი თემთან მიმართებაში

**მარიამ ვადაჭკორია**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქ-ნ შორენა საძაგლიშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2022 წელი**

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

*06.05..2022*

მარიამ ვადაჭკორია

# მადლობა

მადლობას ვუხდი ნაშრომის ხელმძღვანელს ილიას სახელმწიფო  უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ შორენა საძაგლიშვილს, რომელიც დამეხმარა კვლევის განხორციელებაში, მაწვდიდა საჭირო რესურსებს და რჩევებს, რათა  სწორად წარმემართა კვლევა და დამეცვა როგორც ეთიკის კოდექსი, ასევე, აკადემიურად გამემართა ნაშრომი.

## აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს, შეისწავლოს მომავალი სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების დამოკიდებულებები ლგბტ(ქ)ი თემთან მუშაობასთან დაკავშირებით, ასევე მიმოიხილოს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ამ მომსახურებების კუთხით. საკვლევი საკითხიდან გამომდინარე კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდი, რაც გულისხმობს სიღრმისეულ ინტერვიუებს თემის წევრებთან და ექსპერტებთან. ასევე, განხორციელდა ფოკუს ჯგუფები ფსიქოლოგიის და სოციალური მუშაობის სტუდენტებთან.

კვლევის შედეგების მიხედვით, კერძო ფსიქოლოგის მომსახურებები ნაწილობრივ სტიგმატიზირებულია, კერძოდ მათ არ აქვთ საკმარისი ცოდნა მოცემული ჯგუფის მიმართ.შესაბამისად, მათი დამოკიდებულებებიც არ არის პროფესიონალური. ასევე უნდა აღინიშნოს,რომ სათემო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული შედარებით მაღალი ხარისხისაა. საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კერძო ასევე სათემო მომსახურებებში პრობლემად რჩება სპეციალისტების სტერეოტიპული დამოკიდებულებები, არასათანადო კომპეტენციების გამო. თუმცა მომავალი სპეციალისტების დამოკიდებულებებში გამოიკვეთა განსხვავებები.კერძოდ ფსიქოლოგი სტუდენტები მეტად იზიარებენ საზოაგდოებაში არსებულ მეტად იზიარებენ სტერეოტიპებს და ნაკლებად გამოხატავენ ლგბტქ თემთან მუშაობის მზადყოფნას. მათგან განსხვავებით ხოლო სოციალური მუშაკები მეტად მიმღებლები არიან მოცემული ჯგუფის მიმართ. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კვლევის შეზღუდვებიდან გამომდინარე, რთულია იმის პროგნოზირება, თუ რეალურად პრაქტიკაში რამდენად შეძლებენ თავიანთი დამოკიდებულებების განხორციელებას და პროფესიული დახმარების აღმოჩენას

კვლევის მნიშვნელოვანი მიგნებაა, ის რომ გამოიკვეთა დამხმარე/მხარდამჭერი პროფესიების წარმომადგენლებისთვის განათლების

მნიშვნელობა. ამდენად, ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი სასწავლო კურსების დანერგვა უმაღლეს სასწავლებლებში, სტუდენტებს დაეხმარებოდათ ეფექტურად მუშაობაში და შემაცირებდა ნეგატიური დამოკიდებულებების არსებობის რისკს, ამასთან უკვე მოქმედი სპეციალისტებისთვის,როგორც სახელწმიფო, ისე კერძო სტრუქტურებში, მიზანშეწონილია სპეციალური ტრენინგებით უზრუნველყოფა პროფესიული კომპეტენციების გაზრდის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ლგბტქ თემი, სექსუალური ორიენტაცია, სოციალური სამუშაო, ჰომოფობია , ტრანსფობია, სტიგმა , ფსიქოლოგია

# Abstract

The aim of this work is to study the attitudes of future social workers and psychologists towards working with the LGBT community, as well as to review the current state of the country in terms of these services.

Based on the research issueI  used a qualitative research method to achieve the goal, whichincludes in-depth interviews with members of the LGBTQ community and invited experts. Focus groups were also formed with students of psychology and social work.

According to the results, the services of a psychologists are partially stigmatized, in particular, psychologists do not have sufficient knowledge about members of a given community group, therefore, their attitudes are not professional. It should also be noted that the services provided by community organizations are of relatively high quality. Finally, we can say that the services provided by psychologists and social workers as a private service is problematic due to stereotypical attitude  and  irrelevant competencies. However , there are differences in the attitudes of future psychologists and social workers about LGBT group. In particular, psychology students are more likely to share stereotypes in society and less willing to work with the LGBTQ community.Unlike them, social workers are more receptive to a given group. Here we must emphasize that due to the limitations of research it is difficult to predict how much they will actually be able to implement their attitudes in practice and find professional help for a given community.

An important finding of the research is that it highlighted the importance of education for membersof the support profession.Therefore, raising awareness and introducing appropriate training courses in relevant higher education institutions would help students representing these professions to work effectively and reduce the risk of negative attitudes.In addition, it is advisable to provide special training for existing specialists, both in the state and non-governmental/ private structures, in order to develop professional competencies.

Keywords: LGBT community, sexual orientation, social work, homophobia, transphobia, stigma, psychology